დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 106 შაბათი, 16 მაისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვეში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 მაისს დილით ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი ექიმ მ. ძნელაძისა

მარიამ გრიგორის ასული ძნელაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად შეწუხებულნი შვილები: **თამარ, გრიგოლ, ლუარსაბ** და **ლევან ძნელაძენი,** დედა **ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა,** ძმები **სვიმონ** და **ანდრია გრიგორის ძენი,** დები **ანასტასია, ნინო** და **ელისაბედ გრიგოლის ასულნი კლდიაშვილები** და რძალი **მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილისა.** პანაშვიდები: 16 მაისს საღამოს 5 საათზე, ვერაზე, დუშეთის ტუპიკი № 16. ცხედარს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე და იქიდან ქუთაისს. დაკრძალვა ქუთაისში საფიჩხეთის სასაფლაოზე 17 მაისს. სადგურიდან გასვენება დილის 10 საათზე. (2—ნ.—2)

ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ამგები კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 17 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი მწერლის

ეგნატე ნინოშვილის

(ინგოროყვას)

სულის მოსახსენებლად მის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო. (3—2)

გრიგოლ, აკაკი, ალექსანდრე, ოლღა, ოლიმპიადა, ნატალია და მარიამ ლუკას ძენი და ასულნი ქორქაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, კვირას, 17 მაისს, დ. ხონში ქარჩხანის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი საყვარელსა და დაუვიწყარ დედის

ნატალია იაკობის ასულის ქორქაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (2—2)

ვერაზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში შაბათს, 16 მაისს, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

კნ. დარია გიორგის ასულის ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი,** შვილები **დავით, გიორგი ამირეჯიბნი და ელენე დიდებულიძისა** და სიძე **გიორგი დიდებულიძე.** წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—263—1)

ნინო თევდორეს ასული და სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 17 მაისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება შვიდის წირვა და პანაშვიდი საყვარელის და დაუვიწყარის შვილის

ლევანის (ლეოს)

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. (1—1)

უღულითადეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, ვინც პირადად, წერილით და დეპეშით ჩვენი მწუხარება განიზიარეს და ნუგეში გვცეს **ჩვენის შვილის ლევანის** უდროოდ გარდაცვალების გამო.

(1—1) **ნინო და სოფრომ მგალობლიშვილები.**

ოლღა საჩინოს ასული შვილებითურთ, **ნატალია** და **სოფიო ილარიონის ასულნი გაბაშვილნი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 ამ თვეს, გარდახდილი იქნება გარდაცვალებულის

ვასილ ილარიონის ძის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—265—1)

წარმოდგენა № 2. ქართული თეატრი წარმოდგენა № 2.

კვირას, 17 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ქ. ნ. დავითაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

ლალატი

ისტ. დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა თარ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს **ქ. ნ. დავითაშვილი,** ანანიასას—**კ. მესხი,** ოთარბეგისას—**ვ. გუნია,** სულეიმან-ხანისას—**ვ. შალიკაშვილი.**

მონაწილეობას მიიღებს მთელი ამხანაგობა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ორშაბათს 18 მაისს, ვერაზე **„ედემი“-ს** ბაღში **კნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ გამართავს

„მაისობა-არიფანა“-ს

რადგან ყველა სანოვაგე შემომწირველთაგან შინვეა დამზადებული—ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე რესტორანებში, სასმელების ფასიც ზომიერია. იმღერებს ფილარმონიულ საზოგადოების **მომღერალთა გუნდი,** დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი. გამართულ იქნება პატარა ლატარია-ალეგრი, ნიშანში თოფის სროლა, „პტი-შვო“ და სხვა და სხვა გასართობი. ცეკვა ქართული და ევროპიული. მსურველთათვის ერევნის მოედნიდან ივლიან **ავტომობილები.** ფასი ადგილებისა 30 კ. ბაღი და ბუფეტი ღია იქნება შუადღის 1 საათიდან. სურვილისამებრ ცალ-ცალკე სუფრა იქნება გაშლილი და საერთოც.

ბაღში შესვლის ფასი 30 კაპ., ხოლო ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კაპ.

ბილეთები იყიდება მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძესთან (გრიბოედოვის ქუჩა. № 10), სამუსიკო სკოლაში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 4) და „მაისობა-არიფანა“-ს დღეს ბაღის კარებში. (5—უ.—5)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—146)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **გ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—78)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი გ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 63)

ექიმი ა. დიასამიძე

სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში“ ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ე. გ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **გ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **გ მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **გ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—61)

ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

საბჭო

მეორედ იწვევს წევრებს საზოგადო წლიურ ჩვეულებრივ კრებაზე კვირას, 17 მაისს, დილის 11 საათისთვის ჭიათურის თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოსი:
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1908 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და
5. არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა და საბჭოს სამის წევრისა.

ეს კრება მეორედ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (5—ნ.—4)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლაში

17 და 18 მაისს გამოფენილი იქნება ამ სკოლის **მოწაფეთა ხელ-საქმეები.** გამგეობა აუწყებს რა ამას წევრთ ზემოხსენებულ საზოგადოების და სხვათაც, ვინც-კი პროფესიონალურ სწავლას მნიშვნელობას აძლევს, იმედოვნებს, რომ თავის ყურადღებას არ დაიშურებენ და ინახულებენ მოწაფეთა ნამუშავარს. ყველა გამოფენილი ხელ-საქმე 31 მაისს განზრახულ ალეგრიისათვის არის დამზადებული. (31—1)

ამ დღეებში

იხსნება

სასახლის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლის ბაღში (ბანკის ბაღი)

ბალი

რესტორანი

ამხ—ს „იუჟანე“.

ბაღში დაუკრავს საოპერო ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის დირიჟორობით დღისით 2—4 ს., საღამოთი 9-დან ნაშუაღამევის 2 საათამდე. (3—267—1)

კვირას, 17 მაისს,

ქართულ თეატრში

პეტრე გელეიშვილი

წაიკითხავს ქართულად ლექციას:

„ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“

ფასები: პარტერში პირველი სამი რიგი 50 კაპ. დანარჩენი ბილეთები 20 კაპ.-დან შაურამდე.

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და „დროების“ და „ჩვენი აზრის“ რედაქციებში.

დასაწყისი სწორედ დილის 11 საათზე. (3—2)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს წღვესა და კან შუა შესახსამ წამლით **ტუბერკულინით.** ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ჩ.—3)

სტამბა **„შრომის“** ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა **გიოტეს** უკვდავი ქმნილება

ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის“ სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Василію Болквадзе. (10—ნ.—4)

მიიღება ხელის მოწერა

დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების“ რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. მიტ ქიჩუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თომა მთავრიშვილთან.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება“-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—3)

ტფილისი, 16 მაისი

შარშან, 28 მაისს, ტფილისის ქართველმა ვაჭრებმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გადასდეს განსაზღვრული პროცენტი თავიანთ დღიურ ნავაჭრისა. თუმცა იმ დღეს ვაჭრობა, ერთის უბედურის შემთხვევის გამო, თვალსაჩინოდ შეფერხდა, თუმცა ეს საქველ-მოქმედო ვაჭრობა პირველი ცდა იყო და ამიტომ ისე ფართოდ არ იყო მოწყობილი, როგორც სასურველად მიაჩნდათ საქმის ინიციატორებს, მაგრამ მაინც საზოგადოებას ათას მანათზე მეტი შემოსავალი ჰქონდა. შარშანვე დაიბადა აზრი, ეს საქველ-მოქმედო ბაზრობა მომავალში მოეწყოთ არა მარტო ტფილისში, არამედ ყველა სხვა ქალაქშიაც, სადაც კი ქართველი მცხოვრებნი და ვაჭრები არიან. ზოგიერთი მონაწილე ამ ახალ საქმისა ამბობდა, გავავრცელოთ აზრი, რომ საქველ-მოქმედო ბაზრობის დღეს ყველა ქართველმა, პროფესსიის განურჩევლად, გადასდოს განსაზღვრული ნაწილი თავის შემოსავლისა წერა-კითხვის საზოგადოების სასრგებლოდაო. ვინც უფრო მხურვალე ფანტაზიით არიან შემკულნი, ისინი მომავლისთვის მოსალოდნელ შემოსავალს ამ ბაზრობიდან ათი-ათას მანათობით სთვლიდნენ. მოკლეთ რომ ვთქვათ, შარშანდელ საქველ-მოქმედო ვაჭრობის გარშემო საკმაო საზოგადოებრივმა აღმაფრენამ იჩინა თავი.

წელს ამ ბაზრობის გასამართავად შარშანდელთან შედარებით უკეთესს პირობებში ვართ. გარდა წარსულის წლის გამოცდილებისა, წელს ამ საქველ-მოქმედო ვაჭრობის გასამართავად საქართველოს ზოგიერთ ადგილებში შესაძლებელია გამოვიყენოთ საზოგადოების ახლად დაარსებული განყოფილებანი. განვლილ წლის განმავლობაში ხალხის თანაგრძნობა წერა-კითხვის საზოგადოებისადმი მძიმე-მძიმედ, მაგრამ მაინც კი უჩერებლივ იზრდებოდა; ეს თანაგრძნობა კი ერთად-ერთი მტკიცე საფუძველია საქველ-მოქმედო ბაზრობისთვის. გარდა ამისა, წელს შარშანდელთან შედარებით მეტი მშვიდობიანობაა, მეტი მყუდროებაა და კულტურულ განმანათლებელ მუშაობას წინანდელზე მეტი ერთგული მიმდევარი ჰყავს. ნაციონალური თვითშეგნებაც თანდათან წინ მიდის, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ისეთ საზოგადოების წარმატებისთვის, როგორიც ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებაა.

ყველა ზემოხსენებულ პირობის მიუხედავად, უკვე მაისის ნახევარი დაილია და საქველმოქმედო ბაზრობის გამართვაზე კი არსად არავითარი ჩამი-ჩუმი არ ისმის. არ შეგვიძლიან შეურიგდეთ იმ აზრს, ვითომ ტფილისის ქართველი ვაჭრები წელს ნაკლების თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩვენს საზოგადო საქმეებს; არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, ვითომ მათ უკვე დავიწყებოდეთ შარშანდელი თავიანთი საკუთარი და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, ბაზრობის გამართვა ტრადიციად გაეხადნათ და ყოველ წელს სავალდებულოდ მიეღოთ. ჩვენ გვგონია, რომ ეს სიჩუმე ნიშანია არა ქართველ ვაჭრების გულის აცრუებისა, არამედ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის გულმავიწყობისა ან მოუცლელობისა. მაგრამ რაც უნდა იყოს მიზეზი, მაინც ცხადია, რომ ეხლა უკვე დაგვიანებულია და 28 მაისს ტფილისში საქველმოქმედო ბაზრობის გამართვა ველარ მოესწრობა. ცხადია აგრეთვე, რომ გამგეობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, შემოსავლის ახალ წყაროების გასაჩენად, და ამიტომ თავის გულმავიწყობას საბოლოოდ არ უნდა შესწიროს მსხვერპლად ისეთი სიმპატიური დაწყებულება, როგორიც შარშანდელი ბაზრობა იყო.

როგორც მკითხველებს ეცოდინება, ამგვარი ბაზრობა ყოველ წელს იმართება ხოლმე ავსტრიაში პოლონელთა და ჩეხთა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. იქ ამ ბაზრობას ჰმართავენ არა გაზაფხულზე, არამედ შემოდგომაზე. უეჭველია, ზამთრის პირში უფრო განცხოველებულია ვაჭრობა ვიდრე ზაფხულის პირში. ალბად ესაა მიზეზი, რომ უცხოეთში ამ საქველმოქმედო ბაზრობას ყოველთვის ოქტომბრის მიწურულში ჰმართავენ. ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნება, ბაზრობის გამართვა ჩვენშიაც იმ დროისთვის გადაიდოს, მით უმეტეს, რომ მაისში იმის მოწყობა ველარ მოესწრობა.

ხაჭიროდ მიგვაჩნია, მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მეტად მცირე შემოსავალი აქვს. საწევრო გადასახადი 2.000 მანეთზე მეტი ვერა გროვდება, სეირნობა და ლატარია 1000 მანეთზე მეტს იშვიათად იძლევა, ყულაბებში მოგროვილი ფული სათქმელიც კი არ არის, საქველ-მოქმედო წარმოდგენას 500 მანათამდე ძლივს შემოაქვს, წიგნების ვაჭრობა მოგების მაგიერ ზარალს აძლევს საზოგადოებას, ასე რომ მუდმივი და უზრუნველყოფილი შემოსავალი საზოგადოებისა 4000 მანათზე ნაკლებია. თუ ქონებრივი საშუალებანი არ გაფართოვდება, თუ შემოსავლის ახალი წყაროები არ გაჩნდება, ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიაც ეხლა იმყოფება. რა თქმა უნდა, ყველაფერს თვით გამგეობა ვერ გასწვდება; საჭიროა, თვით ხალხმა, თვით საზოგადოებამ გამოიჩინოს თაოსნობა და დახმარებას ხელი შეაშველოს. შარშან ტფილისის ვაჭრებმა პირველად დაგვანახვეს, რა დიდი ძალა აქვს გამგეობის გარეშე განვითარებულს ენერგიას. ხოლო თუ წელს ეს საქველ-მოქმედო ბაზრობა აღარ გაიმართა, ამით გამგეობა დაგვანახვებს, როგორ შეიძლება განიავდეს და მოკვდეს საზოგადოებრივი ენერგია გამგეობის წევრთა გულ-მავიწყობის მეოხებით.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მაისი

ოსმალეთი

სტამბოლი. დეპუტატთა პალატამ მოისმინა გაფიცვების და მუშათა სინდიკატების შესახებ კანონ-პროექტები. პალატის კომისიამ შეასწორა სამინისტროს კანონ-პროექტი, რომლითაც სინდიკატები აღკრძალული იყო, და წინადადება შეიტანა—სინდიკატები კანონიერად იცნონო. ამ წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა შინაგან საქმეთა მინისტრმა. მინისტრმა სთხოვა პალატას, ოსმალეთში სოციალიზმს ნუ გაავრცელებთო. ვაჭრობის მინისტრმა წინადადება მისცა პალატას, კანონ-პროექტი ხელმეორედ შესამუშავებლად ისევ კომისიას გადაეცითო. მინისტრის წინადადება მიიღეს. ამის შემდეგ განიხილეს წინადადება იმის შესახებ, მისცენ თუ არა სამხედრო სამართალში მუფტი-დეპუტატი და დეპუტატი იზმაილ-ქემალი, ალბანელების მეთაური. ყველა ალბანელმა დეპუტატებმა და სომეხმა ზორაბმა იზმაილ-ქემალი დაიცვეს. პალატამ დაადგინა, რადგან აშკარად არა სჩანს, რომ მათ 31 მარტის არეულობაში მონაწილეობა მიეღოთ, ამიტომ საქმე გადაიდოს იმ დრომდე, სანამ დასამტკიცებელი საბუთები არ შეიკრიბება.

სტამბოლი. პროვინციაში აპატიმრებენ რეაქციონერებს. გუშინ ნოვო-ბაზარში დააპატიმრეს რეაქციონერების კომიტეტის 24 წევრი; ამავე დღეს ბრუსაში დააპატიმრეს 20 რეაქციონერი.

„ოსმანიშე ლლოიდს“-ში ცხარე წერილია დაბეჭდილი რუსის ჯარის მიერ თავრიზის დაჭერის შესახებ. გაზეთი იწვევს ოსმალეთს, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ რუსეთი სჩაგრავს მაჰმადიან სახელმწიფოს.

გამოვიდა ახალი გაზეთი „იტტიჰადი“. გაზეთი სამინისტროს ოფიციოზია. გაზეთი იცავს სამინისტროს

გადაწყვეტილებას, რომ იემენის მართვა-გამგეობის საქმეში მთავრობა შეუთანხმდეს იმამ იახიას.

ჩამოვიდა რუსეთის სომხების დეპუტაცია. დეპუტაცია კათალიკოსს იზმირლიანს ეახლება პეტერბურგში წასვლის დროს.

ბოლგარიას არ დაუთხოვნია სათადარიგო ჯარის კაცები. ამას აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფიქრობენ, რომ ამით ბოლგარია ოსმალეთს ემუქრება, ჩქარა გაათავოს აღმოსავლეთ რკინის გზის საქმე. ოსმალეთის გაზეთები აღელვებულნი სწერენ ბოლგარიაზე და აფრთხილებენ, ოსმალეთის მოთმენას საზღვარი აქვსო.

სპარსეთი

ლონდონი. სტატს-სეკრეტარმა მაკკინ-ნორვუდმა პალატაში შეკითხვაზე განაცხადა: რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, სპარსეთს ავანსად მისცეს 50-100 ათასი გირვანქა სტერლინგი (500,000-1,000,000 მანეთი), რადგან შაჰს კონსტიტუციის აღდგენა უნდაო. ამ ფულს სპარსეთის მთავრობა მისცემს ჯარის-კაცებს, რომელნიც უნდა დაითხოვოს და მოახმარებს სხვა საჭიროებებსო. ინგლისის მთავრობა კმაყოფილადა ჰგრძნობს თავს, რომ ეს ფული სპარსეთის რეფორმებს მოხმარდება და არ ეწინამღდეგება რუსეთის და ინგლისის ლტოლვილებას, რომ სპარსეთში კონსტიტუცია დამყარდეს.

პეტერბურგი. სპარსეთის საელჩო იუწყება, ტყუილია გაზეთებში დაბეჭდილი ის ხმა, ვითომ სპარსეთში არეულობა იყოს და თავრიზს ხიფათი მოელოდესო. საელჩოს ოფიციალური ცნობა მოსულია, რომ სპარსეთის საქმები გამოკეთდაო.

საზღვარ-გარეთ.

ლონდონი. ქვედა პალატაში. გუშინ დეპუტატმა კრეგმა პალატის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მინისტრები სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამენ ფლოტის შესახებ. დეპუტატმა კრეგმა შეიტანა რეზოლიუცია, რომლითაც სასურველად არ არის ცნობილი რაიმე ცვლილების შეტანა ასკვიტის მიერ 1908 წ. 12,23 ნოემბერს წარდგენილ სისტემაში. კრეგმა დაასაბუთა თავისი წინადადება და ასეთი კითხვით მიმართა ასკვიტს: გვქონდათ თუ არა მხედველობაში შეერთებული შტატები, როცა ორ სახელმწიფოს ასახელებდითო. ამაზე ასკვიტმა უპასუხა: ეს საკითხი დღევანდელ პრაქტიკულ მიზნის მიხედვით უფრო აკადემიური ხასიათისაა, რადგან რომელიც უნდა ორი სახელმწიფო აიღოთ, მათი შეერთებული, აქტიური ძალა ინგლისის დამცველ ძალზე უფრო სუსტია. ჩვენ თვალ-წინ უნდა გვქონდეს განსაზღვრული მიზანი: ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ინგლისი ყველა მოსალოდნელ საფრთხესაგან და თუ რაიმე სერიოზული საფრთხე იქნება მოსალოდნელი, უნდა შევქმნათ ისეთი ძალა, რომ ზღვაზე ინგლისი კვლავ ბატონობდეს. აგრეთვე უნდა ვეცადოთ, რომ არავინ არ შეუშალოს ხელი ჩვენს ვაჭრობას იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებთან. ამ მიზანს ჩვენში ყველა თანაგრძნობით ეკიდება და მოწინააღმდეგე არავინა ჰყავს. შეერთებულ შტატებს ზღვაზე მეორე ადგილი უჭირავს და მიუხედავად ამისა, ეს სახელმწიფო არ იგულისხმება იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომელთა შეერთებულ ძალასაც ჩვენმა ძალამ უნდა გადააჭარბოსო. კამათში მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორმა ლიკოლინსმა და ბალფურმა. პირველმა რეზოლიუცია წარადგინა, რომ პალატამ ნდობით მოისმინა მინისტრის განცხადებაო. ბალფურმა კრეგის რეზოლიუციის წინააღმდეგ ილაპარაკა. კრეგის რეზოლიუცია 270 ხმით უარ-ჰყვეს, ხოლო კოლინსის რეზოლიუცია მიიღეს 270 ხმით.

სოფია. იტალიისა და სერბიის ელჩებმა გუშინ ჩააბარეს ბოლგარიის მეფეს ფერდინანდს რწმუნების ქაღალდები. იტალიის ელჩის სიტყვაზე ფერდინანდმა სთქვა, მე დიდად აღფრთოვანებული ვარ იმ მხურვალე თანაგრძნობით, რომლითაც გვეპყრობა იტალიის ერი ამ ჩვენთვის ფრიად დიდმნიშვნელოვან დღეს. იტალია უსურვებს ბოლგარიას განვითარებასა და აღორძინებას. მე მაგონდება საშუალო საუკუნეები, როდესაც იტალიისა და ბოლგარიის ხალხებს შორის ხშირად მეგობრული დამოკიდებულება იყო ხოლმე ეკონომიურსა თუ პოლიტიკურს ნიადაგზე. მე ყოველთვის ვეცდები დავიცვა ის მეგობრული განწყობილება იტალიის ერთან, როგორც წინად ყოფილა ჩვენი წინაპრების დროს.

პარიზი. რკინის დამმუშავებელ ქარხნების წარმომადგენლებმა გამომძიებელ კომისიას განუცხადეს, გემების საკუთებლად დაბალ ხარისხის რკინას ვაძლევთ ხოლმე, მაგრამ დამნაშავენი ჩვენ კი არ ვიყავით, არამედ ის საზღვაო კომისაა, რომელიც რკინას გაუსინჯავად იღებდაო. გამომძიებელი კომისია მოითხოვს, რომ დამნაშავე მოხელენი სამართალში მისცენ.

ბერლინი. პრუსიის ზედა პალატამ დაამთავრა კამათი ბიუჯეტის შესახებ და სხდომები შესწყვიტა ივნისის გასვლამდე.

კონსერვატორებმა რეიხსტაგის საფინანსო კომისიაში შეიტანეს წინადადება, რომ ყავაზე დაწესდეს გადასახადი. დაუწვავ ყავაზე 40—60 მარკამდე, დახალულ ყავაზე 80 მარკამდე, ხოლო ჩაიზე 25-დან 50 მარკამდე.

ნიუ-იორკი. ჰაიტის კონცხიდან დეპეშით იუწყებიან, რომ სან-დომინგოს მთავრობა მხნე ზომებს ხმარობს რევოლიუციონერთა წინააღმდეგაო. 10 მაისს მთავრობის ჯარმა იერიში მიიტანა სანტანზე. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. რევოლიუციონერები იძულებულნი გახდეს მიეტოვებინათ გამაგრებული პოზიციები.

რუსეთი

ოდესსა. გრადონაჩალნიკმა იმ ბაპტისტებს, რომელთაც 7 და 10 მაისს ნებადაურთველი კრებები გამართეს, გადაუწყვიტა სატუსაღო: ერთს—სამი თვით, ორს—ორი თვით და ერთს—ერთი თვით, ხოლო 206—ერთი კვირით.

პეტერბურგი. შეკითხვათა კომისიამ მიიღო შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების სახელზე შეკითხვა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მოქმედების შესახებ.

პეტერბურგი. რადგან უკანასკნელ ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით აღარავინ გამხდარა ავად და არც გარდაცვლილა, ამიტომ პეტერბურგი ხოლერის მხრივ საშიშოდ აღარ არის ცნობილი.

ციმბირში გადასახლებულნი

(წერილი ირკუტსკიდან)

როგორც მოგეხსენებათ, იმ პოლიტიკურ დამნაშავეთ, ვისაც სასამართლო ციმბირში გადასახლებას უწყვეტდა, 1908 წელს ყველანი ირკუტსკის გუბერნატორის განკარგულებაში იგზავნებოდნენ. დიდძალი ხალხი მოვიდა ბალტიის მხრიდან (ლატიშნი, ესტონელნი) და პოლონეთიდან, ბევრი ჩამოიყვანეს ებრაელიც. არც საქართველო ჩამორჩა. 1908 წლის გასულს და ამ წლის დასაწყისში ჩვენის მხრიდან 30 კაცამდეა ჩამოყვანილი.

პოლიტიკურ გადმოსახლებულთ საცხოვრებლად უნიშნავენ კირენსკის, ვერხოლენსკის, ბალაგანსკის და, იშვიათად, ნიჟნეუდინსკის მაზრებს. ორი უკანასკნელი მაზრა ციმბირის რკინის გზის იქით-აქეთ მხარეს მდებარეობს, ხოლო კირენსკისა და ვერხოლენსკის მაზრები რკინის გზის ლიანდაგსა და ირკუტსკს ძალზე დაშორებულნი არიან, სახელდობ: ვერხოლენსკის მაზრის სამხრეთი ნაწილი 400 ვერსით, კირენსკისა—1200 ვერსით. აქაური მთავრობა აქამდე კიდევ ასახლებდა ბალაგანსკისა და ნიჟნეუდინსკის მაზრებში პოლიტიკურებს, მაგრამ ეს ერთი წელიწადია პოლიტიკურთათვის (მამაკაცთათვის) ორივე მაზრა დაიკეტა. ბალაგანის მაზრაში მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავე ქალებსა ჰგზავნიან და ათასში ერთხელ ცოლშვილით წამოსულთ გადმოსახლებულთ, ისიც რუსებს. არა რუსნი კი ყველანი კირენსკის მაზრაში იგზავნებიან.

კირენსკის მაზრა მთელს ირკუტსკის გუბერნიაში ყველაზე უარეს მაზრად ითვლება. ჯერ ერთი როგორც უკვე მოვიხსენიეთ, რკინის გზის ლიანდაგიდან ძალზე დაშორებულია; მეორე—სოფლები იშვიათია, ბინები ძვირია და გარდა ამისა, შოვნაც გასაჭირია, სანოვაგე ყველაფერი მაშასისხლად იყიდება, შეუძლებელია რაიმე სამუშაო იშოვნოს კაცმა; თვით ხალხი მეტად პურა-ძვირია და თან პოლიტიკურთ მტრულის თვალით უყურებს—ხელმწიფის მოღალატე ხალხიაო და თავის მოვალეობად მიაჩნია უსასყიდლოდ იკისროს ჟანდარმის როლი. თვალყურს ადევნებს, არსად გაიქცესო და შეამჩნევს თუ არა ვისმე პოლიტიკურს, გაქცევას აპირებსო, ეცდება დაიჭიროს და მთავრობას გადასცეს ხელში. ადამიანი, მოწყვეტილი თავისიანებს, ქვეყანას, უმეტეს შემთხვევაში უსახსრო, ან ლოთობას იწყებს, ან თავს იკლავს, ან ძარცვა-გლეჯის გზას ადგება, ან უკეთესს შემთხვევაში, ეცლება აქაურობას...

აი სხარტული სურათი კირენსკის მაზრისა, სადაც იგზავნებიან ამ ჟამად პოლიტიკური გადმოსახლებულნი. აქეთკენ გაგზავნას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ირკუტსკში ჩამოყვანისათანავე ჰგზავნიდნენ გადმოსახლებულთ. საქმე ის გახლავთ, რომ პატიმართა ეტაფი კირენსკის მაზრასა და იაკუტსკის მხარეში წელიწადში ორჯერ იგზავნება: მაისსა და მარიამობისთვეში მდინარე ლენით, ნავებით. თუ ერთს ან მეორე ეტაფს არ მოჰხვდა პატიმარი, თითქმის 8 თვე ალექსანდროვსკის (ირკუტსკიდან 60 ვერსია) ცენტრალურ სატუსაღოში უნდა გაატაროს.

შარშან ვინც ნოემბრამდე ჩამოიყვანეს ირკუტსკში (მათ შორის ხუთი ქართველი) დროებით, ლენაზე ნავისნობის გახსნამდე, ვერხოლენსკის მაზრაში (სოფლებ ჟიგალოვსა და ზნამენკაში) დააბინავეს. ხოლო ნოემბრის შემდეგ მისულნი, ყველანი ალექსანდროვსკის საპატიმროში გაისტუმრეს სადაც მაისის 15-მდე იქნებიან, მაშინ კი ურმებით ჩაიყვანენ ყველას სოფ. ჟიგალოვში (ირკუტსკიდან 375 ვერსტია) და აქედან კი ბარჟით გაუდგებიან კირენსკის გზას.

კირენსკის მაზრაში გაგზავნას ასცდა, ვინც ავადმყოფობის მიზეზით ასე შორს, სუსხიან (15° ყინვა) მხარეში ცხოვრებას ვერ აიტანდა. ასეთებს კირენსკის მაზრა ვერხოლენსკის მაზრად შეუცვალეს.

ამ ჟამად ირკუტსკის გუბერნიაში 30 ქართველი პოლიტიკური გადმოსახლებულია: ასლანბეგ აბაშიძე, მიხ. ტეტიაშვილი, ნ. კეცხოველი, რომ. ხიხაძე, ირაკლი ქათამაძე, ნიკოლოზ ოთარაშვილი, მიხ. ბრეგვაძე, გიორგი მურვანიძე, ბართლომე ხელაძე, ალექსი გუტიაძე, ლეონტი ჩიჩუა, კირილე კორშია, ზოსიმე ხუბუა, თ. სახოკია, ელიზბარ ჩარტია, ესტატე გულუა, მაქსიმ გოშუა, სოლომონ ალანია, ვასილ კავჟარაძე, ვასილ თურმანიძე, მიხეილ ბოცუაშვილი, სოსო ელერდიშვილი, დავ. სხირტლაძე, ვლად. გოშაძე, ივ. მანჯავიძე, სოფიო უთნელიძისა, ონისიმე ებრალიძე, თავდგირიძე და დავ. როსტომაშვილი. ამათგანი ერთი (სოფიო უთნელიძისა) ბალაგანსკის მაზრაში სცხოვრობს, ორი სამუდამოდ და ოთხიც დროებით ვერხოლენსკის მაზრაში არიან დატოვებულნი, ხუთი კაცი უკვე ჩასულა კირენსკის მაზრაში, ხოლო დანარჩენნი (ვინც ამ წლის იანვარში ჩამოიყვანეს ირკუტსკში) ალექსანდროვსკის ციხეში იმყოფებიან 15 მაისის მოლოდინში.

უმეტესობა ქართველ პოლიტიკურ გადმოსახლებულთა დაავადებულია. ჯერ სამშობლოში ხანგრძლივი პატიმრობა, მერე შუაგულ ზამთარში ეტაფით სიარული სახელმწიფო სიფრიფანა ფარაჯისა, სახელმწიფო მაუდის ძიქვისა, ტილოს საცვლების და ჩვენებურ ჩუსტების სინაბარა!.. ამას დაუმატეთ ფეხებში ბორკილები (მხოლოდ ქუთაისის ციხიდან წამოსულები მოვდიოდით ფეხებში ბორკილ-გაყრილები, ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს ერთგულობის წყალობით, რა თქმა უნდა!) მგზავრობა ეტაფით მთელი თვე გაგრძელდა. ასე რომ ირკუტსკში, პატიმრები დაწყვეტილები ჩამოგვიყვანეს. მაშინათვე განთავისუფლების მაგიერ ორ-ორი კვირა აქაურ ციხის „პერესილნში" გვამყოფეს. თვით „პერესილნი" კი ისე იყო სავსე ხალხით, ისეთი ბუღი იდგა, რომ ღამით ლამპებს არ ეკიდებოდა, რადგან სასუნთქავი ჰაერი მჟავბადის მაგიერ მარტოოდენ ნახშირმჟავისაგან შესდგებოდა. დაურთეთ ამას სიბინძურე საშინელი, 35—40 გრადუსი სიცივე, უჭმელობა, უსმელობა... ბევრი გახდა სახადით ავად...

ამ მდგომარეობაში რომ ვიყავით, შობის „მოსალოცად" ჩვენს „პერესილნში" შემოვიდა აქაურ საგუბერნიო სატუსაღოთა განყოფილების ინსპექტორი. შევჩივლეთ: ამდენი ხანი ციხეში ყოფნა, წვალება, ნუ თუ არ გვეყო, რაღად გვგზავნით გადაკარგულ მაზრაში (კირინსკისაში), სადაც კარგი პატრონი ძაღლსაც კი არ გაუშვებს, ან იქ წასვლამდე კიდევ რაღად გვამწყვდევთ ციხეშიო (ის-ის იყო ალექსანდროვსკის „ცენტრალში" უნდა გავეგზავნეთ ოთხის დღის უკან!..

— რაც დასთესეთ, იმასვე მოიმკით! —იყო პასუხად.— მახლობელ მაზრაში ვინც კი გავგზავნეთ, თავისს ვოლოსტში აღარავინ გაჩერდა, ყველა გამოიქცა. ახლა შორს იმიტომ გგზავნით, რომ ადვილად ვერ გამოიქცეთო.

ან რა დააყენებს, თქვენს ლხენას, პოლიტიკურ გადმოსახლებულთ ასეთს პირობებში: ირკუტსკის სატუსაღოდან მაზრებში გამოსტუმრების წინ პოლიტიკურ გადმოსახლებულთ, სხვა უბრალო ტუსაღებთან ერთად, აძლევენ ტყაპუჭებს და „ვალენკებს" (ნაბდის ყელიანი მოგვებია). 12 დღის განმავლობაში მარხილებით ტარების შემდეგ მიგიყვანენ სავოლოსტო სამმართველოში. მწერალი თვით ჩაიბარებს გადმოსახლებულთ და მერე ეტყვის—წადითო. გადმოსახლებულნი ერთს ხანს გაოცებულნი დგანან და ბოლოს ეკითხებიან: სად?—საცა გნებავდეთო. თქვენც მიდიხართ, საცა გნებავთ და... არა გნებავთ. თქვენთვის თავს არავინ იცხელებს, თქვენი მატერიალურად უზრუნველყოფა არავის ადარდებს. იცხოვრეთ როგორც გნებავთ და რითაც გნებავთ, მხოლოდ თქვენს ვოლოსტს არ გასცდეთ. აქ უნდა იყოთ მთელის ექვსის თვის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ ბილეთს მოგცემენ და უფლება გაქვთ მთელს მაზრაში „თავისუფლად" იცხოვროთ. ერთის წლის შემდეგ მთელს გუბერნიაში (გარდა საგუბერნიო ქალაქ ირკუტსკისა) შეგიძლიანთ იცხოვროთ და ხუთის წლის შემდეგ მთელს ციმბირში. მხოლოდ 8 წლის შემდეგ მოგცემენ გლეხის ბილეთს, რომლითაც შეგიძლიანთ მთელს რუსეთის იმპერიაში, საცა გნებავთ, იქ აირჩიოთ საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. სამშობლოშიაც დაბრუნდეთ.

თუ საშუალება გაქვთ, ხომ კარგი, თუ არა და წყალი წაგიღებსთ მდინარი. აქაური ჩელდონი (ასე ეძახიან აქაურ გლეხს), რომელიც ადამიანის გარდა ყველაფერს ჰგავს, უსასყიდლოდ წყალი რა არის, წყალსაც კი არ დაგალევინებთ. თუ რამე ხელობა იცით, შესაძლებელია, იშოვოთ, ისიც დროებით, რამე საქმე სოფ. ჟიგალოვოში, სადაც მდ. ლენაზე ჩასაშვებ ნავებსა და სანდლებს აკეთებენ. თუ ხელობა არ იცით და სახლიდანაც ფული არ მოგდით, ან ძარცვა-გლეჯას უნდა მიჰყოთ ხელი, ან და შიმშილისაგან უნდა მოჰკვდეთ, თუ თქვენ არ დაასწარით და თქვენისავე ხელით არ მოისწრაფეთ სიცოცხლე...

და აი გამწარებულნი პოლიტიკური გადმოსახლებულნი პირველ მარჯვე შემთხვევას ელოდებიან, რომ აქედან გაიქცნენ. მირბიან თითო-თითოდ, მირბიან პარტიობით, მირბიან ზამთარში, მირბიან ზაფხულში. მირბიან მიუხედავად იმისა, რომ გაქცე-

ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

ტრაგიზმი ილია ჭავჭავაძის პოემებში: „განდეგილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული".

13.*)

„განდეგილ"-ში გამოიხატა თითქმის მთელი კაცობრიობის, ყოველს შემთხვევაში, სარწმუნოებრივ შეგნების ორ უმნიშვნელოვანეს ტიპის-ბუდდიზმის და ქრისტიანობის დამახასიათებელი ტრაგედია. ორივე სარწმუნოებას აერთებს სწორედ ის თვისებები, რომლის მატარებელიც განდეგილია: ამაღლება ამ ქვეყნიურს მატერიალურს არსებობაზე, სიძულვილი სხეულისადმი, მის მოთხოვნილებათა დათრგუნვა, მის ზრახვათა და ვნებათა უარყოფა, ცოდვად და წარწყმენდად მიჩნევა თვით უდიდეს ადამიანურ გრძნობათა და მისწრაფებათა, განყენება წუთი-სოფლის მაცდურებისაგან და ნირვანის ან მარტოდ-მარტო დაყუდების დადასტურება. ორივე სარწმუნოებისთვის დამახასიათებელია სულიერ მომენტის გაზვიადება, ქრისტიანობისთვის მისი მიმჩნევა უდიდეს ღირებულებად, ბუდდიზმისთვის კი შეხედულება, რომ შეგნება ერთად-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან კაცობრიობის განთავისუფლება მუდმივ ტანჯვისაგან. დასასრულ, ორივე სარწმუნოების დედააზრს შეადგენს იდეა ხსნისა და საუკუნო ნეტარებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქრისტიანი ცხონებას ცოდვილ სხეულისაგან განთავისუფლებით აღწევს, ბუდდისტი კი თვით ინდივიდუალურ არსებობის მოსპობით და მის შეერთებით გამოუთქმელთან, მიუწდომელთან, შეუქმნელთან, ე. ი. არარაობასთან.

როგორც ნამდვილი წარმომადგენელი ქრისტიანულ სარწმუნოებრივ შეგნებისა, განდეგილი ადამიანის უაღრეს დანიშნულებას ჰხედავს არა ახალ ღირებულებათა შემოქმედებაში, არა ამქვეყნიურ ცხოვრების გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაში, არამედ უდიდეს ღირებულების—სულის შენახვაში უკვდავებისა და მარადისობისთვის. ეს ლტოლვა ადამიანისა უკვდავებისადმი, ეს აღიარება სულისა უდიდეს საუნჯედ იმდენად უძლეველი და ინსტინქტიურია, რომ მას მართლაც შეუძლიან გახდეს მთელის შეგნებულ ცხოვრების ღერძად და განდეგილივით მიატოვებინოს პიროვნებას ყოველი სხვა მხარე კულტურულ არსებობისა. თვით შეგნების დედააზრში სძევს რამდენიმე მომენტი, რომელიც აუცილებლად ჰხდის ამ ლტოლვას: მართლაც და სული, როგორც ცნობიერების მოვლენათა ერთიანობა, უდიდესი ღირებულებაა უკვე იმიტომ, რომ ის ერთად-ერთი მატარებელია ყოველ ღირებულებისაც და ინდივიდუალობისაც. შეგნების გარეშე არ არსებობს არც დაფასება, არც ღირებულება: ბუნების უაზრო ძალთათვის რაფაელის „მადონნას" ან ლეონარდოს „სერობას" იმდენივე ფასი აქვს, რამდენიც უბრალო ტილოს, უდიდეს გენიოსს იმდენივე, რამდენიც ჩვეულებრივს მომაკვდავს. როგორც ბუნებრივს, ისე კულტურულ მოვლენათ შეგნება აძლევს მიზანსაც და ღირებულებასაც, იმდენად მეტს, რამდენათაც უფრო მნიშვნელოვანნი ისინი მისთვის: ყველაზე მეტს კი, რასაკვირველია, თავის თავს, როგორც დაუშრეტელს წყაროს შემოქმედებისა და დაფასებისას. ამ მხრივ ყველაზე ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი მხარე ცნობიერებისა მისი სინთეტიური ფუნქციაა, უდიდესი ნიჭი, რომლის საშუალებითაც მას შეუძლიან თავი მოუყაროს სივრცესა და დროების მიმდინარეობაში გაბნეულს ელემენტებს და ერთად შედუღებით უდიდეს განძად გახადოს ის, რასაც ცალკ-ცალკე შეიძლება არავითარი ფასი არა აქვს. ინდოელების პანთეიზმმა უკვე ბუდდამდი მიაქცია ყურადღება სულის ამ ცენტრალურს მნიშვნელობას ადამიანისთვის: ატმანი, სუნთქვათა სუნთქვა, გამოუთქმელი ძალა სუნთქვისა—საძირკველია, რომელზედაც ეყრდნობიან სხვა ნიჭნი: „შუაზე არის ატმანი, გარშემო სუნთქვის ძალნი, ამბობს ერთი ბრაჰმანა,—ატმანი ყველაფერია, ატმანი მთელი ეს სამყაროა".

მეორე მხარე, რომელიც არა ნაკლებ ძვირფასად ჰხდის ფსიხიურს მომენტს და ასაზრდოებს ადამიანის ლტოლვას უკვდავებისადმი, როგორც ზევითა ვთქვით, იმაში მდგომარეობს, რომ შეგნება საძირკველია თვით ინდივიდუალობისაც, რომ მისგან დამოუკიდებლად არც პიროვნება არსებობს ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. ყოველი „მე" არის აუცილებლად სულიერი „მე", ხოლო სულიერებას მოკლებული ფიზიკური არსებობა მოკლებულია ინდივიდუალობასაც. ფიზიკური ენერგია იცვლის ფორმებს, ადვილად გადადის ერთის მდგომარეობიდან მეორეში და მოვლენათა სხვადასხვაობას ერთს გარდაუვალს კანონს უმორჩილებს, რომლისთვისაც უცვლელი მხოლოდ მთელი სამყაროს ენერგიის ჯამია. აქ სიკვდილი და სიცოცხლე არ იმყოფება ისეთს შეურიგებელს წინააღმდეგობაში, როგორც ფსიხიურს სფერაში: ერთი ფორმის სიკვდილი მეორე ცხოვრების დასაწყისია, ძველი მდგომარეობის გაქრობა ახალ არსებობის მოასწავებელია. პირიქით სულიერ არსებობის სიკვდილი აბსოლიუტიურია, იმიტომ რომ მისი ინდივიდუალური საზღვრები გარდაუვალია: გრძნობათა, ცნებათა, აზრთა და ლტოლვათა ურთიერთობას აღარ შეუძლიან იარსებოს, თუ ის ინდივიდუალური ერთეული მოისპო, რომელშიაც ის თავსდებოდა. განსაზღვრულს ფსიხიურს ხასიათს და წყობილებას არ ძალუძს გამოვიდეს ერთის პიროვნების საზღვრებიდან და მეორე პიროვნების სახე მიიღოს. ძველი რწმენის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ჩვენი სხეულია უკვდავი: ის იარსებებს მუდმივ ახალგაზრდა ბუნებაში ჩვენს შემდეგ ისევე, როგორც იგი ჩვენამდე არსებობდა, თუმცა მისი არსებობა არავის გაახსენებს იმ ინდივიდუალობას, რომელთანაც ის შეკავშირებული იყო ერთს დროს. პირიქით სიკვდილის საფრთხე მოელის იმ თავისებურს და განუმეორებელს ფსიხიურს ურთიერთობას, რომელიც ერთად-ერთი მატარებელია ჩვენის ინდივიდუალობისა: თავის სულიერ შემოქმედებით მას შეუძლიან უკვდავ-ჰყოს მომავალ თაობათა ხსოვნაში თავისი სახელი ან თავისი ნაყოფი, მაგრამ მას არ ძალუძს შეუნახოს ამ ქვეყნიურს ცხოვრებას ის ძირითადი გრძნობა მეობისა, რომელიც პიროვნებას პიროვნებად ჰხდიდა.

ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ერთი ძლიერ გავრცელებული სარწმუნოებრივი ტიპი, რომლის წარმომადგენელიც „განდეგილია", იმდენად ძვირფასად სცნობს სულს, რომ მასზე ზრუნვას მთელ თავის მოქმედების შინაარსად ჰხდის და მის საიქიოსთვის ღირსეულად მომზადებას თავის უდიდეს მიზნად ჰსახავს:

ყველაზედ უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთი სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია.

ეს შეხედულება წუთი-სოფელზე, როგორც სულის ბორკილზე, დამახასიათებელია როგორც ბუდდისტურ, ისე ქრისტიანულ აზროვნებისთვის და გამომდინარეობს მათის ფილოსოფიის ძირითად პრინციპებიდან. სული მუდმივს წინააღმდეგობაში იმყოფება მატერიალურს არსებობასთან უკვე იმიტომ, რომ მისი გზა ჭეშმარიტებაა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეურიგდება საქაოს მაცდურებას. ქრისტიანული ღმერთი არის სიტყვა, უდიდესი ჭეშმარიტება ისევე, როგორც ბრაჰმა ინდოელების პანთეიზმისა ბუდდამდის: „ბრაჰმა არის სიტყვა, ბრაჰმა არის სიტყვის ჭეშმარიტება; ბრაჰმა არის სიმართლე". მსოფლიო კი არსებითად ცდომილებაა, არარაობა, რომელსაც გადაფარებული აქვს ეშმაკეული ზეწარი ცოდვისა და წარწყმედისა, ბიწიერების სადგური ან ბოროტების სამეფო,

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართებლად ჰქმნის ცოდვის ხელი.

ამიტომ უმოკლესი გზა ხსნისა და ნეტარებისა არის განყენება წუთისოფლიდან, ძირშივე ჩაკვლა ნებისყოფისა ცხოვრებისადმი, თვალის დახუჭვა მაცდურ მშვენიერების წინაშე, ყურის დაცობა იმ ამღზნებ ხმათათვის, რომელიც წარმტაც, მაგრამ ცოდვით აღსავსე არსებობისკენ იწოდებენ,

სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

„გიყვარდეთ არა სოფელი და ყოველივე, რაიცა იმყოფების მასა შინა,—ამბობს იოანნე მოციქული:—რომელთა უყვართ სოფელი, უყვართ არა შემმოქმედი მისი. რამეთუ ყოველივე რაიცა სუფევს სოფელში არს მცონარეობა ხორცისა და სიტკბოება თვალთა; წარმართი ცხოვრება წარმოსდგების სოფლისაგან და არა მამისაგან ჩვენისა"*).

---

*) იხ. „დროება", N 105.

*) ქართულ „ახალი აღთქმის" უქონლობის გამო იძულებული ვარ, ეს ადგილი გერმანულიდან ვთარგმნო. (ეს წერილები გამოგზავნილია გერმანიიდან).

ვისთვის სასჯელი მოელით: თუ გაქცეული თავის გუბერნიაში შეიპყრეს—ერთი თვე ციხეში დაპატიმრება მოელის, თუ ციმბირში შეიპყრეს—სამი თვე, ხოლო თუ ევროპის რუსეთში—ოთხი წელიწადი კატორგა. გადმოსახლებულნი ამ სასჯელსაც კი არ უშინდებიან, ოღონდ გადაურჩნენ აქაურ „თავისუფალ ციხეს". საგუბერნიო მმართველობის ოფიციალურ მოხსენებიდანა სჩანს, რომ უმეტესი წილი პოლიტიკურ გადმოსახლებულთა აქ არა რჩება. 1907 წელს, მაგალითად, 77% გაქცეულა. და ეს მასსიური გაქცევა პოლიტიკურ გადმოსახლებულთა მანამდე არ შესწყდება ან არ შემცირდება, სანამ გადმოსახლებულნი დღევანდელს აუტანელს პირობებში იქნებიან, სანამ ცოტათი მაინც არ უზრუნველ-ჰყოფენ მათს მდგომარეობას. არა კმარა კაცი უცხო მხარეში, უცხო ხალხში, საშინელს პირობებში გაუშვა ოთხივ კუთხივ და უთხრა: საცა გინდა, იქ იცხოვრეო; ისიც უნდა აჩვენო,—რითი და როგორ დაიკმაყოფილოს თავისი ელემენტარული ბუნებრივი მოთხოვნილება — შიმშილი...

თ. ხ.

„დროების" ხვალინდელ „სურათებიან დამატების" შინაარსი: „მართას რომანი", თარგმანი ეკ. გაბაშვილისა; წვრილი ამბები; სურათები: ეგნატე ნინოშვილი (გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო); რევოლიუცია ოსმალეთში: „რევოლიუციონურ ჯარის უფროსი მაჰმედ-შევკეთ-ფაშა"; „რევოლიუციონურ ჯარს მიჰყავს დამარცხებული სულთნის ჯარის-კაცნი", „ტრამვაის ვაგონით ბრძოლის დროს დაჭრილები მიჰყავთ", „გამარჯვებული ჯარი ფეზხულს უვლის", „რევოლიუციონური ჯარი ქუჩაში რეაქციონერებს სჩხრეკავს და იჭერს" და „თავისუფალი მეომრები ილდის-კიოსკში მიდიან".

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **გადასახლებულთა შესახებ.** ნამესტნიკის კანცელარიას, როგორც გავიგეთ, კავკაზიის გუბერნატორებისა და ოლქის უფროსებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია. ცირკულიარი შეეხება ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთ. კანცელარია სთხოვს გუბერნატორებს, ყოველთვის, როდესაც ვისმეს გადასახლებას აპირებენ ადმინისტრატიულის წესით, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინონ ნამესტნიკის კანცელარიას. ამიერიდან კანცელარიის ნება დაურთველად გადასახლება არ შეიძლება.

◆ **ჩამოხრჩობა.** კავკ. სამხედრო საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა სამსონ სამხარაძეს და ალექსანდრე კულიევს, რომელთაც ჰბრალდებოდათ პოლიციელის როშჩინის მოკვლა ოლგას ქუჩაზე, ყაითგაზოვის ღვინის სარდაფში, ამა წლის 16 თებერვალს.

◆ **მ. გ. ძნელაძე.** ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გუშინ წინ ტფილისში გარდაიცვალა მარიამ გრიგოლის ასული კლდიაშვილი-ძნელაძისა. განსვენებული პირველი იმ ქართველ ქალთაგანი იყო, რომელთაც ევროპიული მუსიკალური განათლება მიიღო. ძნელაძისამ სიმღერა შეისწავლა მოსკოვში, მაგრამ პროფესიონალურ არტისტად არ გამხდარა. ხშირად იღებდა მონაწილეობას ჩვენ საქველმოქმედო კონცერტებსა და წარმოდგენებში.

◆ **სადილი სპარსელ ქართველებისთვის.** ამ მოკლე ხანში საქართველოდან სპარსეთს ბრუნდებიან ქართველი სპარსელები—ხატიაშვილები და მაყაშვილი. ამის გამო გუშინ, 14 მაისს, მათ გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს.

◆ **უგულავას გამართლება.** კავ. სამხედრო საოლქო სასამართლომ გაამართლა ა. დ. უგულავა, რომელსაც ჰბრალდებოდა სამხედრო მოსამართლის გენერლის ვოლკოვის მოკვლის განზრახვა. გენ. ვოლკოვი შარშან მძიმედ დასჭრეს სასამართლოდან დაბრუნების დროს. ეს საქმე მეორედ გაირჩა. პირველად უგულავას სიკვდილი გადაუწყვიტეს. უგულავას იცავდა გ. გვაზავა.

◆ **ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობის რევიზია.** ქუთ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, დაუნიშნიათ რევიზია ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობისათვის რევიზია მინდობილი ჰქონია ადგილობრივ მაზრის უფროსს ზაკუსოვოს (ზ.).

◆ **ნავთი გურიაში.** როგორცა ვწერდით, გურიაში, სოფელ სამღვთოსა და სხვაგანაც ბლომად არის ნავთიანი ადგილები. ამ ადგილებისათვის ყურადღება მიუქცევიათ ბელგიელ კაპიტალისტებს. მათი სააქციონერო საზოგადოება ორი თვეა ყუბანის ოლქში მოქმედებს და ნავთიან ადგილებს იკვლევს. აი, ამ საზოგადოებას გეოლოგის მეთაურობით ექვსი ინჟენერი გაუგზავნია გურიაში ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად. ამ ინჟენრებმა 13 მაისს გამოიარეს ბაქოზე და წამოვიდნენ ტფილისში, ხოლო აქედან—გურიაში. გურიიდან ინჟენრები წავლენ ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში, სადაც კი ნავთის ნიშნებია.

◆ **კონსერვატორია ტფილისში.** აზრადა აქვთ, ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი გადააკეთონ კონსერვატორიად, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლის უფლებანი ექნება.

◆ **„ნაკადული".** მოგვივიდა ორი წიგნი საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულისა", №№ 9 (მცირე წლოვანთათვის) და 5 (მოზრდილთათვის). ამ ნომრებში მოთავსებულია ნაწარმოებნი ვაჟა-ფშაველასი, შ. მღვიმელისა, განდეგილისა, ევდოშვილისა, ელიოზიშვილისა და სხვებისა.

◆ **კონცერტი საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.** როგორც ვწერდით, კონცერტი ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება თავად-აზნაურთა თეატრის საზაფხულო განყოფილებაში. იმედი ჰქონდათ, რომ საზაფხულო თეატრი ამ თვის 15-მდე მოესწრებოდა, მაგრამ რაკი ვერ მოესწრო, კონცერტი გადაიდო თეატრის დამთავრებამდე.

◆ **შემოსავალი.** 25 აპრილს „როიალ ვიოს" სინემატოგრაფში გამართულ წარმოდგენიდან წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ დარჩა წმინდა 140 მანეთი.

◆ **კრება კლუბისთვის.** 25 მაისისთვის დანიშნულია კრება ახალ კლუბის დამაარსებლებისა.

◆ **წიგნთ-საცავი.** ორშაბათს, 18 მაისს, გახსნიან წიგნთ-საცავს და სამკითხველოს ზუბალაშვილის სახალხო სახლში. სიფხიზლის საზოგადოებამაც თავისი წიგნთ-საცავი სახალხო სახლს გადასცა. როგორც ვიცით, ეს საზოგადოება უქმდება.

◆ **ექსარხოსობის გაუქმება.** ხმა დადის, რომ საქართველოს ექსარხოსობა უქმდება და მაგიერად ორი საარქიეპისკოპოსო არსდება—ერთი რუსთათვის, მეორე ქართველთათვისაო. სასინოდო კანტორა ისევ დარჩებაო.

◆ **გორის ეპისკოპოსი.** როგორც გავიგეთ, ამ დღეებში გაიგზავნება ქაღალდები სინოდში თ. ჟორდანიას გორის ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ. თვით განუცხადებია სურვილი და თხოვნაც მიუცია.

◆ **სომხების დაბრუნება ოსმალეთში.** 3 მაისიდან 11 მაისამდე კავკასიიდან სარაყამიშის გზით 450 სომეხი დაბრუნებულა ოსმალეთში.

◆ **გვალვა ქართლში.** როგორც ქართლიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, საშინელი გვალვაა თურმე იქ. ნათესები სულ ჩახმა. თუ ცოტა ხანი კიდევ ასე გასტანა და წვიმა არ მოვიდა, შიმშილობა აუცილებელი იქნებაო.

◆ **სომხების დაპატიმრება.** როგორც ერევნიდან და ყარსიდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ, კვლავ განაგრძობენ სომხების ოჯახების გაჩხრეკასა და დაპატიმრებას.

◆ **პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმე.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით აუწყობინებენ: „პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმეს სახელმწიფო საბჭო შემოდგომაზე განიხილავსო".

◆ **დეპუტაცია ნამესტნიკთან.** ერევნის გუბერნატორს წარუდგა სომხეთა დეპუტაცია და სთხოვა, ნება მოგვეცით მივმართოთ ნამესტნიკს და ვთხოვოთ, შეაჩეროს სომეხ მოღვაწეთა შეპყრობაო. გუბერნატორმა ნებადართო ნახიჩევანისა, ვაგარშაპატისა, იღდირისა, ორდუბათისა, ერევნისა და ახალ ბაიაზეთის მაზრის მცხოვრებთ აირჩიონ დეპუტაცია ნამესტნიკთან გასაგზავნად.

◆ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მიერ გაგზავნილი რევიზორი გომარეთის, წინარხის და ყალდამშის სკოლების დასათვალიერებლად უკვე დაბრუნდა და მოხსენება წარუდგინა გამგეობას.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: 14 მაისს ბათუმის მატარებელში შემდეგის შემთხვევის მოწმენი შევიქენით ბათუმისაკენ მიმავალი მგზავრები: ვიღაცას ვაგონში ჩაესვა რვა-ცხრა წლის ქალი. ბავშვი დარბოდა თამამად ვაგონში, ხან ერთს ფანჯარას მიაწყდებოდა, ხან მეორეს. ავჭალაში შემოვიდა ბილეთების გამშინჯავი აფიცერი, ბავშვს ბილეთი მოჰკითხეს, იმან ტირილი მორთო. როცა ვკითხეთ, ვისი ხარ, ვინ მოგიყვანა, სად მიხვალ, გვიპასუხა: კანტორია ხოშტარიასი (თუ თოფურიასი) გარ, აბაშას მივდივარ, მამიდამ გამომიყვანა და ამ ვაგონში ჩამსვაო. ბავშვი მცხეთის სადგურზე გადასვეს და ჟანდარმს ჩააბარეს. კარგი იქნება, მშობლებმა ან იმ მამიდამ, რომელმაც უბილეთოდ გაისტუმრა ბავშვი სამგზავროდ, ყურადღება მიაქციონ და მოიკითხონ ბავშვი".

ასეთივე ზიზლი ამ ქვეყნიურ არსებობისადმი იხატება ბუდდას ერთს ქადაგებაში: „სხეული არ არს ჩემი, ის არ არის მე ან ჩემი მე; ეს უნდა დაინახოს ჭეშმარიტად ყველამ, ვინც ნამდვილს ცნობიერებას ჰფლობს. მოწაფენო, ვინც ამას ჰხედავს, ის ბრძენი, კეთილშობილი მსმენელი ჭეშმარიტი სიტყვისა ზურგს შეაქცევს ყოველს სხეულებრიობას, ყოველს შეგრძნებას და წარმოდგენას, მოქმედებას და შემეცნებას. და როცა ის მათ უარყოფს, მაშინ განთავისუფლდება წადილისაგან; ამ განთავისუფლებით ის მოიპოვებს ხსნას; ნეტარში დაიბადება მისი ხსნის შეგნება: ხელახლა შობა მოსპობილია, დამთავრებულია გზა წმინდა მოგზაურობისა, ვალდებულება აღსრულებულია: ის შეიგნებს, რომ შეუძლებელია დაბრუნება ამ ქვეყნიდან".

განდეგილიც ავიდა სწორედ ამ სიმაღლეზე, რომელიც უბრალო მომაკვდავისთვის მიუწდომელია: ყოველი ხორციელი გულისთქმა განდევნებული და დამარხულია, სული აყვავებულია, ჩატეხილია ყოველი ხიდი, რომელიც მის სამყოფს აერთებს სოფელთან, კაცთ ჟრიამულთან, მათ ვნებათა-ღელვასთან; განდევნილია „გულიდამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი" და ბოლოს მიღწეულია ის იდეალი სულიერ მყუდროებისა, შინაგან ჰარმონიისა თავის თავთან, რომელიც წინააღმდეგობით და გათიშვით ტანჯულ სულის მუდმივ ლტოლვას შეადგენს:

მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახული
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა.
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.

მაგრამ განდეგილმა გაიმარჯვა არა მარტო სხეულზე და მის მოთხოვნილებებზე, მან დასთრგუნა არა მარტო ის ბუნებრივი ლტოლვანი, რომელიც გზაზე ეღობებიან ყოველს ასკეტიზმს, ხორცის წამებას, სოფლისაგან განდგომას: ზეკაციურის შემძლებლობით მან დაამტვრია მეორე მძიმე ბორკილიც, რომელსაც ისევე, როგორც სხეულებრივობას, მომაკვდავის შეჩვენებად სთვლის სარწმუნოებრივი აზროვნება და ფილოსოფიური სპეკულაცია: განშორდა რა წუთი სოფელს, უარყო რა მისი ყოველდღიური ჭირვარამი, იგი განთავისუფლდა დროების ბრუნვისა ან ჟამთა-ცვლისაგანაც. განდეგილის აზროვნება და გრძნობა სავსებით მიმართულია უზენაეს არსებისაკენ. ის ისევე, როგორც პლატონი ან სპინოზა, მსოფლიოს მარადისობის თვალთსაზრისით უყურებს (შეად. სპინოზა: „ეთიკა", ნაწ. 5, დებულება 30) და ამიტომ მისთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დროულ, განსაზღვრულ მოვლენათა ცვალებადობას:

არ ვთვლი წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთი-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა სვლას!

ცნობიერების ასეთს ჩანთქას უზენაეს არსების იდეით, მთელი ყურადღების დაკავებას მარადისობის და დაუსრულებლობის აზრით და ამგვარად დროების მიერ აგებულ საზღვრების მივიწყებით ადამიანს მართლაც შეუძლიან მიაღწიოს უდიდეს სულიერს კმაყოფილებას, იმიტომ რომ ადამიანის ლტოლვას უკვდავებისადმი არაფერი არ ეღობება წინ ისეთის სიძლიერით, როგორც დროების სვლა. გარდა იმ წინააღმდეგობისა, რომელზედაც მე ზევით მივუთითე და რომელიც თითქმის ილლუზიად ჰხდის ყოველს ადამიანურს ბედნიერებას, დროებაში იმალება კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უკვე თავისთავად საკმაო იქნებოდა, რომ გაემართლებინა სარწმუნოებრივ და ფილოსოფიურ სპეკულიაციის ლტოლვა მის საზღვრებიდან განთავისუფლებისკენ. ამ მომენტს ერთი თანამედროვე ფილოსოფოსი შემდეგის სიტყვებით ახასიათებს: „ადვილი გასაგებია, თუ რატომ სთვლის ნაკლულოვანებად დროების ურთიერთობასა სარწმუნოებრივი შემეცნება. დროებითი განვითარების უბედურება მეტად თუ ნაკლებად ყოველთვის იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ცხოვრების ერთი პერიოდი მხოლოდ საშუალებად ითვლება მეორე პერიოდისთვის. საშუალება გამოშორებულია მიზნისაგან და ცხოვრება იყოფება სიამოვნებას მოკლებულ შრომასა და შრომას მოკლებულ სიამოვნებას შუა. დროება უმეტეს ნაწილად დაკავებულია ისეთი რამით, რასაც ღირებულება **მხოლოდ** მისი ნაყოფის შემწეობით მიეცემა. ყოველი წინსვლა აღზრდის ხელოვნებაში, ეთიკაში და სოციოლოგიაში იქითაა მიმართული, რომ მოსპოს ეს დუალიზმი, უმძაფრესი და უბოროტესი ყოველ დუალიზმს შორის. ისევე როგორც ერთი ადამიანი არ უნდა გარდაიქცეს მეორესთვის მხოლოდ საშუალებად, ცალკე პიროვნების ცხოვრებაშიც თვითეული წამი არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ საშუალებად სხვა და სხვა წამებისთვის, წარსული და აწმყო კი მომავალისთვის." (ჰოეფდინგი: „სარწმუნოების ფილოსოფია". გერმანულად. ლეიპც. 1901. გვ. 50).

ჩემის აზრით ესთეტიური სიამოვნებაც შესამჩნევად ამცირებს ამ დუალიზმის სიდუხჭირეს და აუტანელობას: ისეთ ხელოვნებაშიც-კი, სადაც, როგორც მაგ. მუზიკაში ან დრამაში, ესთეტიური შინაარსი განსაზღვრულ დროების ფარგლებს ავსებს და მასში ვითარდება, თვითეული მომენტი არის არა მარტო მიზეზი და საშუალება შემდეგ მომენტისა, არამედ მიზანი თავის თავად, მნიშვნელოვანი და ძვირფასი შემდგომის დამოუკიდებლადაც. მით უმეტეს ისეთი ხელოვნება, როგორიც მხატვრობაა, სრულიად ანთავისუფლებს ესთეტიურს შინაარსს და ესთეტიურს ყოფაქცევას დროების საზღვრებიდან: აქ ადამიანი ყოველს მომენტში ჰხედავს მიზანს და მხოლოდ მიზანს, აქ ხელოვნება, როგორც შოპენჰაუერმა სთქვა, მართლაც და ყველგან თავის დანიშნულებასთან და მიზანთანაა.

მაგრამ ყოველს შემთხვევაში უფრო რადიკალურად, ვიდრე ხელოვნებას, ჟამთა სვლისაგან თავის დაღწევა სარწმუნოებრივს ექტაზს შეუძლიან: დროებას ადამიანის ცნობიერება ითვისებს და ზომავს მოვლენათა ცვალებადობის შემწეობით და თუ ის ერთიანად და განუყოფელად განდეგილივით მხოლოდ მარადისობის და დაუსრულებლობის ან სხვა უცვალებელმა იდეამ დაიკავა, ის მართლაც დაჰკარგავს ჟამთა ბრუნვის წარმოდგენას და უკვდავების წინათგრძნობით აივსება.

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

მოწერილი ამბავი

სვანეთი. სვანეთი, როგორც მკითხველს მოეხსენება, წარმოადგენს ერთს მიყრუებულს და მივარდნილ კუთხეს. აი, ამ მივარდნილ კუთხეში ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში მთავრობამ დაიწყო სკოლების გავრცელება და ამ ჟამად თითქმის ყოველ საზოგადოებასა აქვს თავისი საკუთარი სკოლა: ზოგს-სამინისტრო, ზოგსაც სამრევლო-საეკლესიო. ათის წლის წინად კი მთელს სვანეთში სულ ორიოდე სკოლა იყო. სკოლების გავრცელებას ხალხი აღტაცებით მიეგება; შენობებისათვის საჭირო მასალა საზოგადოებებმა დამზადეს და ბევრი სხვა ხარჯიც გასწიეს სვანებმა სკოლების მოწყობის საქმეში. აშკარაა აქედან, რომ სვანებსაც სწყურებიათ სწავლა. სოფ. მესტიის სკოლის კურთხევის დღეს საზოგადოებამ დიდი ნადიმი გადაიხადა; მთელმა საზოგადოებამ მესტიისამ, ქალმა და კაცმა, ორი დღე სიმღერასა და მხიარულობაში გაატარა. გლეხები იძახდნენ: „მადლობა ღმერთს, იქნებ ჩვენი შვილები მაინც არ დარჩნენ ჩვენებრ ურუდაო". ასეთი აღტაცებით მიეგებნენ სხვა სოფლებიც, და მართლაც პირველ ხანებშიც სკოლებში ტევა აღარ იყო ბავშვებისა.

ასეთმა აღტაცებამ, საუბედუროდ, დიდი ხანს ვერ გასტანა. 1901 წლიდან სკოლებში იკლო მოსწავლეთა რიცხვმა, გარდა ორის სკოლისა: მესტიისა, სადაც მასწავლებლობდა იმ ჟამად იგ. მარჯიანი იყო, და სოფ ცხუმარისა, სადაც მასწავლებლობდა დომენტი—გურული (გვარი არ მახსოვს). არც მულახის სკოლას უშავდარა გაბრიელ ნიჟარაძის წყალობით. დანარჩენებმა საქმე ვერ წაიყვანეს. დღეს კი თითქმის ყველა სკოლა ჩამოქვეითდა და სავალალო სურათს წარმოადგენს, როგორდაც ობოლი და განცალკევებული სკოლა ეხლა სვანეთში, დილ-დილაობით, როცა ყველგან სწავლა იწყება, ჩვენს სკოლაში სიჩუმეა, აღარ ისმის ბავშვების მხიარული ჟრიამული და მარტო მასწავლებელი, რომელიც 10 საათზე აბძანებულა, ხარდახზე გზის სითბოს ეზმორება და ზარმაცად იფშვნეტს თვალებს, აღარ აწუხებს ბავშვების ხმაურობა.

ასე გაუტედა გული სვანს სკოლაზე. პირველი მიზეზი ამისა, როგორც საერთოდ ყველგან, სკოლაში გაბატონებული პოლიტიკაა, პოლიტიკა გარუსებისა. ამ პოლიტიკამ მართალია ვერ გაიმარჯვა, მაგრამ სამაგიეროდ სკოლები მიწასთან გაასწორა. ჰგზავნიდნენ და ჰგზავნიან ისეთს მასწავლებლებს, რომელთაც არაფერი გაეგებათ ადგილობრივ ენისა და ზნე ჩვეულებისა, აიძულებენ მუნჯურად ასწავლონ ბავშვებს. შედეგი ამისა ის არის, რომ ბავშვები გაურბიან სკოლას და თვითონ მასწავლებლებიც აღარა სწუხან. ხალხი ჰხედავს ყველა ამას და ფიქრობს, შინაურ მუშაობას მაინც რაზე მოვაცდინო ბავშვებიო, როცა მიკითხავს, რად არა ჰგზავნი სკოლაში შენს შვილსა მეთქი, ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მომიღია, არაფერს ასწავლიან და მიტომაო.

ზემოდ მოგიხსენიე სამი მასწავლებელი, მარგიანი, დომენტი გურული და ნიჟარაძე. რატომ იყო რომ ამათ ხელში სამს სკოლას სიცოცხლე ეტყობოდა? იმიტომ რომ დამაბრკოლებელ მიზეზების მიუხედავად ესენი სულით არ დაცემულან, ადგილობრივის ენისა და მხნეობის მეოხებით სძლიეს დამაბრკოლებელ მიზეზებს და ხალხს შეაყვარეს სკოლა. მარგიანი, მაგალითად, სკოლაში სწავლის კარგად დაყენების გარდა, კვირაობით ჩამოუვლიდა ხოლმე სოფელს, მოუყრიდა თავს ყმაწვილებს, წაიყვანდა სკოლაში და ხან ქართულ და ხან რუსულ წერა-კითხვას ასწავლიდა, ხან სიმღერას, ხან კიდევ სხვა რამეს. რაც ხანი ეს მასწავლებელი დარჩა ამ სკოლაში, ე. ი. სამ წელიწადს, ამ სოფლის თითქმის ყველა ახალგაზრდამ ისწავლა ხელის მოწერა რუსულად და ქართულად. იმის შემდეგ სკოლა დაქვეითდა. ასეთივე უბედურება ეწვია ცხუმარის სკოლას დომენტის შემდეგ. მესამე მშრომელი მასწავლებელი ნიჟარაძე რამოდენსამე ხანს კიდევ მოდგინედ მუშაობდა [illegible] მიემხრო გარუსების პოლიტიკას.

გავიდა ხანი და [illegible] სვანებს [illegible] მიიღო მასწავლებლობა. ამათ მოიწადინეს კვლავ დაგმობა არსებულ პროგრამისა და ამით სკოლის ფეხზე დაყენება, მაგრამ მათ ყველანი წინაღუდგნენ და დღეს სვანეთის სკოლები მთლად „მუნჯურ მასწავლებლების" ხელშია. ამ ბოლო დროს ისევ რამდენიმე სვანი დანიშნეს მასწავლებლად. გვეგონა, რომ რომ ესენი კვლავ გაუღვიძებენ სწავლის წყურვილს სვანებსო, მაგრამ მოვტყუვდით: ამათაც, მხნე შრომის ნაცვლად, ხელი მიჰყვეს ერთმანეთის შურს და მტრობას. აი, ასეთი მდგომარეობაში დღეს სვანეთში სკოლა.

მესტიელი მგელი.

ნატახტარი (არაგვის ხეობა). „ზაკავკაზიე"-ში მოთავსებული იყო ცნობა დუშეთის მაზრაში მეორე ქსენონის გახსნის თაობაზე. როგორც ცნობიდან სჩანს, კომისიას ხმის უმრავლესობით გადაუწყვეტია ეს მეორე ქსენონი გაიხსნას სოფ. ჭოპორტში. სოფ. ჭოპორტი დიდი სოფელია დუშეთის მაზრაში და მდებარეობს არაგვის მარცხენა ნაპირზე. გზა მასზე უკეთები— სასოფლო გზის. სახელმწიფო გზიდან აბანოს ხიდით არაგვზე შეიძლება კაცი გავიდეს ჭოპორტში. მაზრაც დიდი აქვს: სოფლები საგურამო, ახალსოფელი, ჭილაური, ნავდარაანთ კარი, შავსხვარი ჭალა, გალავანი, წინამძღვრიანთკარი, ფიწმენდი, ახატანი და ბულაჩაური თითქმის გარს ახვევს; ამას გარდა მთლად ს. დავითის და ყანჩაანის მხარეს ემარჯვებათ ჭოპორტში ჩასვლა, მაგრამ, ჩემის აზრით, რადგან მალე ვერ ვღირსებით არაგვის მარჯვენა ნაპირზეც ამისთანა ქსენონს, საჭიროება კი დიდია, ამიტომ მე ვურჩევ კომისიას ქსენონის ადგილად აარჩიოს სოფელი ნატახა ან აღდგომლიანთ-კარი წილკნის სადგურის მახლობლად. სადგური, სახელმწიფო გზა, ტფილისთან და დუშეთთან გაადვილებული მიმოსვლა და კავშირი ამ ადგილს საუკეთესო ქსენონის ადგილად ხდის. ამას გარდა, გაღმა მხარი ადვილად ისარგებლებს ამ ქსენონით, რადგან აქვე გამოდის აბანოს ხიდი არაგვზე, გამოღმიდან მიემატება მეტად დაავადებული და დიდი სოფლები, როგორნიც არიან წილკანი, მუხრანი, ძალისი, ერედა, დამპალა, წეროვანი, მისაქციელი, ნატახტარი, ლამი და მრავალი სხვა მახლობელი სოფელი.

ჩემგნით ნარჩევ ადგილს მოჰხვდება გაღმა მხარიც და გამოღმაც, ჭოპორტში კი მარტო არაგვის მარცხენა ნაპირი ისარგებლებს.

ჩვენს სოფლებში დიდ ხმარებაშია ხაშხაში. არც ერთი დედა არ გაურბის, ხაშხაშის საშუალებით ბავშვი მიაძინოს. რაც უფრო ანჩხლია ბავშვი, მით უფრო მომეტებული უნდა აჭამოს. ბავშვი ბრუვდება, თვალებში სინათლე ეცლება და მთვრალ ადამიანსავით მთლად დუნდება.

საჭიროა ჩვენმა ექიმებმა გამოიკვლიონ ხაშხაშის შედგენილება და მისი ავი და კარგი მხარე. გამოკვლევის შედეგი საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, რათა კაცს შეეძლოს ურჩიოს ან გააფრთხილოს დედები სოფლად.

ლ. მაზრელი.

რუმინია-ავსტრიასა და გერმანიას შეუერთდა

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: რუმინია ოფიციალურად მიემხრო სამთა კავშირსაო, ესე იგი მიემხრო გერმანიისა, ავსტიისა და იტალიის კავშირსაო. რუმინიის დაკავშირება ავსტრიასთანა და გერმანიასთან მთლად ბოლოს მოუღებს რუსეთის გავლენას ბალკანეთში. დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ ევროპას მოელის დიდი კრიზისი, რომელსაც ბეჯითად ამზადებს ავსტრიის პოლიტიკის ხელმძღვანელი ბარონი ერენტალი. იგი ყოველნაირად ცდილობს რუსეთის ეხლანდელ გაჭირვებით ისარგებლოს და ეხლანდელი საქმეთა მდგომარეობა დაარღვიოს („კ.").

იაპონია-ავსტრიის კავშირი

ავსტრიულ გავლენიან გაზ. „ნ. ფრ. პრესე“-ს თანამშრომელს უსაუბრნია ერთ მაღალ-წარჩინებულ ავსტრიელ დიპლომატთან და უკითხავს მისთვის, მართალია თუ არა ის ხმა, ვითომ იაპონიამ კავშირი შეკრა ავსტრიასთანაო. დიპლომატს უპასუხნია: არა მგონია. ეს ხმა იმიტომ გავრცელდა, რომ იაპონელი პრინცები, კუნი და ნაში-მიტო, განსაკუთრებულს თავაზიანობით და პატივით მიიღო ავსტრიის იმპერატორმა. მაგრამ იმპერატორი პირველი ჯენტლმენია და ამიტომ იაპონელ პრინცების მიღება სულაც არ მოასწავებს ავსტრია-იაპონიის კავშირის შეკვრას.

კორესპონდენტს უთქვამს თავის მოსაუბრესათვის: ინგლისში დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ხმებსაო. მას შემდეგ რაც ინგლისის ელჩმა გოშენმა ვენა მიატოვა, ინგლისელები გაორკეცებულის ყურადღებით იცქირებიან ვენისაკენ. ამბობენ იმასაც რომ მეფე ედუარდი ამ ზაფხულს არ წავა მარიენბადში (ავსტრიაშია), სადაც იგი ყოველ ზაფხულს მიდიოდა ხოლმეო“. ამაზე დიპლომატს უპასუხნია: „დიახ, ეგ შესაძლებელია. უკვე რამდენიმე თვეა ლაპარაკობენ, რომ მეფე ედუარდი არ წავა მარიენბადშიო. მაგრამ წლევანდელი ზაფხული მარიენბადში მაინც მეტად საინტერესო იქნება, რადგან იქ ინგლისის მეფის ნაცვლად, სხვები მოვლენ იმპერატორთან ვიზიტად და ეს ვიზიტები მეტად საინტერესო იქნებაო“.

ოსმალეთი

„ნობელის პრემია მიეცეს მახმუდ-შევკეთ-ფაშას“.

ერთ ევროპიელს შემდეგი შინაარსის წერილი მიუწერია გაზ. „ოსმანიშე ლოიდ“-ის რედაქციისთვის (ეს გაზეთი სტამბოლში გამოდის გერმანულ ენაზე):

„იმ კაცს, რომელმაც თავის შეგნებულის, მოსწრებულის, ბეჯით და ამასთანავე თავდაჭერილ და მშვიდობიანის მოქმედებით ოსმალეთიც გაანთავისუფლა მძიმე სენისაგან, და ამავე დროს იხსნა მრავალი ათასი ევროპიელი ფანატიკოს, სისხლის მსმელ და რეაქციონურ ხროს მიერ შესყიდულ ნაძირალა ხალხის ძალმომრეობისგან, უნდა მიეცეს არა ჩვეულებრივი ჯილდო. სტამბოლის უცხოელთა მთელი კოლონია და ქრისტიანები 24 აპრილის ღამით დანიშნულ გაწყვეტას გადარჩნენ სწორედ მახმუდ-შევკეთ-ფაშის გაბედულობისა, სწრაფ მოქმედებისა და მის მამაც ჯარის გამალებულ მარშის წყალობით. მახმუდ-შევკეთ-ფაშამ ყველანი გვიხსნა ვერაგ მკვლელებისგან. მან საქმით შეასრულა ის, რასაც სხვები მრავალ წელს ქადაგებდნენ. ამიტომ მას უნდა მიეცეს ის საერთაშორისო ჯილდო, რომელიც ჯერ არც ერთს ოსმალოს არ მიუღია, მას უნდა მიეცეს—ნობელის პრემია“.

ქრისტიანები ოსმალეთის ჯარში.

„ტაიმს“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება: მახმუდ-შევკეთ-ფაშამ შეატყობინა მსოფლიო პატრიარქს, რომ ამას იქით ქრისტიანებსაც მივიღებთ ოსმალეთის ჯარშიო. გენერალისიმუსის გამონგარიშებით, არა-მუსულმანები მომავალში შეადგენენ მთელის ჯარის 25 პროცენტს. ოადგან კანონპროექტი ამ საქმის შესახებ ჯერ არ დაუმტკიცებია პარლამენტს, შევკეთ-ფაშა ჯერ-ჯერობით თავისუფალ მეომრებად მიიღებს ქრისტიანებს. გენერალისიმუსმა დასძინა, რომ იმ ქრისტიანებს, რომლებმაც ოსმალური ენა იციან, პოლიციასა და ჟანდარმერიაშიც მივიღებთო.

რეაქციონური მოძრაობა მცირე აზიაში.

რეაქციონური მოძრაობა მცირე აზიაში, მაკედონელ ჯარების მხნე მოქმედების წყალობით, ნელდება.

რიფაატ-ფაშას დეპეშა ადანის ამბებზე.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რიფაატ-ფაშამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ოსმალეთის ელჩებს:

„ზოგიერთმა გაზეთმა გაავრცელა ხმა, ვითომ მთავრობა სომხებს ამტყუნებდეს და ოსმალებს აღელვებდეს სომხების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა დეპუტატთა პალატაში, რომ ამ ბოროტ ხმებს არავითარი საფუძველი არა ჰქონდათ.

ოსმალეთის მთავრობა სულაც არა სდებს ბრალს სომხებს. იგი უპარტიოა და ქრისტიანებს როდი არჩევს ოსმალებისაგან. მუსულმანები თუ ქრისტიანები—ყველანი ოტომანები, ოსმალეთის ქვეშევრდომები არიან.

მთავრობამ სასტიკი ბძანება გასცა, რომ დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულთა და დაჭრილთა. ადგილობრივ მოხელეებს 30 ათასი ოსმალური გირვანქა გაუგზავნეს დაზარალებულთათვის დასარიგებლად. დაჭრილებს სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს, ადანაში სადოსტაქრო ინსტრუმენტები გაგზავნეს.

სამხედრო სასამართლო ადანაში თავის მოვალეობას შეასრულებს და დამნაშავენი, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად დასჯილ იქნებიან“.

ახალგაზდა ოსმალთა მემორანდუმი.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი ამ ჟამად ადგენს მემორანდუმს, რომელშიაც დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი ყველა პოლიტიკური მკვლელობა და ძალმომრეობა აბდულ-ჰამიდის მეფობის დროს, გამოაშკარავებულ იქნება სომხების გაწყვეტის ორგანიზაცია სტამბოლში და საბუთებით იქნება დამტკიცებული რომ აბდულ-ჰამიდიც ერია ამ საქმეში. აღნიშნული იქნება აგრეთვე სახელმწიფო ქონების სისტემატიური გაფლანგვა და მითვისება, რითაც აიხსნება აბდულ-ჰამიდის საარაკო სიმდიდრე.

ეს მემორანდუმი დაიბეჭდება და ყველა დიდ სახელმწიფოს მთავრობას გაეგზავნება, ამას გარდა იგი გავრცელებულ იქნება ოსმალეთის იმპერიაში.

სოფლელების წინააღმდეგობა.

ბოსფორის ნაპირას, აზიის მხარეს მდებარე სოფლების მცხოვრებმა მუსულმანებმა უარი სთქვეს და ნებაყოფლობით იარაღი არ ჩააბარეს მოხელეებს. ერთ სოფელს ბატალიონი ჯარი შემოარტყეს. თოფის სროლის შემდეგ სოფლელები დაჰნებდნენ. ბევრი ხალხი დაატუსაღეს ამ სოფლებში.

გერმანულ პრესის მეცადინეობა.

„ნოვ. ვრემია“ ს კორესპონდენტი იუწყება სტამბოლიდან: აქაური გერმანული პრესა ბეჯითად ავრცელებს ცნობებს, ვითომ რუსის აგენტები აჯანყებდნენ ქურთებს და ვითომ რუსეთი მფარველობას დაჰპირებოდეს ოსმალეთის სომხებს. ეს ცნობები ძლიერ აღელვებს ოსმალურ პრესას.

სომხები დახმარებას სთხოვენ რუსეთს.

გერმანულ გაზ. „ტაგ.“-ის კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ჩარიკოვმა ოსმალეთის სომხებისაგან მიიღო თხოვნა დახმარების შესახებ. ასეთივე თხოვნით სომხებმა მიმართეს საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებსო.

სპარსეთის ამბები

რუსის ჯარი და სპარსელები.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან:

„სპარსელები პარტიის განურჩევლად მეტად აღელვა რუსის ჯარის შემოსვლამ თავრიზში. ეს გარემოება უარესად უჭირვებს საქმეს შაჰსა. რევოლიუციონერებს ჰგონიათ, რომ რუსები შაჰმა მოიწვია. სპარსელებთან კამათი ამაზე და ამ აზრის წინააღმდეგ ლაპარაკი სრულიად უსარგებლო იქნება, სპარსეთში არავინ დაიჯერებს რუსეთის მკაფიო განცხადებას, რომ რუსის ჯარი გაყვანილ იქნება, რა წამს წესიერება დამყარდება და უცხოელები უზრუნველყოფილ იქნებიან საფრთხისაგანო.

ამ დეპეშის თაობაზე რუსული გაზ. „რეჩ“-ი შენიშნავს:

„მოწინავე წერილში, რომელიც სპარსეთის საქმეებს უძღვნა, გაზ. „ტაიმს“-ი ხმას არ იღებს თავის თეირანელ კორესპონდენტის ზემომოყვანილ დეპეშაზე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისიურ გავლენიან პრესის ნაწილი ცდილობს რაც შეიძლება იშვიათად და ზრდილობიანად შეეხოს რუსის ჯარის ყოფნას სპარსეთში. მაგრამ სწორედ ეს გარემოება ამტკიცებს, რომ რუსის ჯარის ყოფნა თავრიზში აფიქრებს ინგლისელებსაც, რომლებსაც სპარსელებივით ეჭვი აქვთ, ვაი თუ რუსეთმა ადგილი დაიჭიროს სპარსეთშიო, მაგრამ ინგლისური პრესა ჯერ-ჯერობით გაჩუმებულია და უცდის რუსეთის მოქმედებას.

ასეთს მოქმედებას დაჟინებით ურჩევს რუსეთის მთავრობას „ნოვოე ვრემია“-ს თეირანელი კორესპონდენტი. იგი თხოულობს, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ახალი რაზმი თეირანის დასაჭერადაო. შეიარაღებული რევოლიუციონერები თეირანთან იყრიან თავსა, ხალხი არც ენდობა და არც თანაუგრძნობს შაჰსა; იქნება მისმა საკუთარმა ჯარმაც უღალატოს, ერთის სიტყვით, შაჰი დიდს გაჭირვებაშია. განა ცხადი არაა, რომ რუსეთმა ამ წამსვე უნდა უშველოს შაჰსა“.

პროკლამაცია შაჰის წინააღმდეგ.

თეირანში გაავრცელეს პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ შაჰმა თავის დასახმარებლად უცხო სახელმწიფოები მოიწვიაო. სხვა პროკლამაციებში შაჰი გამოცხადებულია ტახტიდან ჩამოგდებულად.

სპარსელებს დეპუტაცია ახალგაზდა ოსმალებთან.

ვენურ გაზ. „ცაიტ.“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: აქაურ სპარსელების კომიტეტმა სთხოვა მაიორ ნიაზი-ბეის და სხვა გამოჩენილ ახალგაზდა ოსმალებს, მთელ ჩრდილოეთ სპარსეთში შეიყვანეთ ჯარიო. ახალგაზდა ოსმალებმა უარი უთხრეს ამაზეო.

ოსმალეთი და სპარსეთი.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ოფიციალურად შეეკითხა ოსმალეთის ელჩს თეირანში, ოსმალეთის ჯარი რად შემოვიდა ურმიაშიო. ელჩმა უპასუხა: ჩვენი ჯარი ურმიაში ოსმალეთის ქვეშევრდომების დასაცველად შევიდა და სანამ ურმიაში სრული წესიერება არ იქნება აღდგენილი, ოსმალეთის ჯარი არ გავა სპარსეთიდანო.

ამას გარდა ელჩმა თავის საპასუხო ნოტაში სურვილი გამოსთქვა, რომ სპარსეთმა თავის საქმეების მოსაწყობად ევროპიელებს გარდა მიიწვიოს ოსმალებიც და რომ ოსმალეთსაც უფლება მიეცეს სპარსეთის ფინანსებს კანტროლი გაუწიოსო.

სათარ-ხანი და გენ. სნარსკი.

როგორც ვიცით, გენ. სნარსკიმ 20 ათასი მანეთი მოსთხოვა ჯარიმად სათარ-ხანს და სანამ იგი ამ ფულს არ გადიხდის, თავრიზიდან სხვაგან წასვლა აუკრძალა. სათარ-ხანმა მაშინვე უპასუხა, რომ თავრიზიდან გასვლის ნებართვას არავის არა ვსთხოვო, და იმავე დღეს იგი შეიარაღებულ რევოლიუციონერების ჯგუფით გავიდა თავრიზიდან და ქალაქის მიდამოებში გაიარგამოიარა.

კავკასიელი რევოლიუციონერები.

კაზვინში ასზე მეტი კავკასიელი რევოლიუციონერი იმყოფება. ბევრმა მათგანმა ფული მიიღო ენჯუმენისგან და კაზვინიდან გავიდა. მალე დანარჩენნიც წავლენ.

რუსეთი

✦ **მინისტრის გადადგომა.** პეტერბურგში ხმა დადის თურმე, რომ სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი სამსახურიდან გადისო. მის ადგილას დანიშნავენ საგენერალო შტაბის უფროსს გენერალ მალიშევსკისო.

✦ **რევიზიის შედეგი.** როგორც ვიცით, რევიზიას უშვრებოდნენ კიევის საინტენდანტოს. „ბაქოს“ სიტყვით რევიზიას აუარებელი ბოროტმოქმედებანი აღმოუჩენია. სხვათა შორის, უპარავთ აუარებელი ფქვილი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: რიგაში 3, ეკატერინოსლავში 1, ხარკოვში 2, უფაში 4, ვარშავაში 1, პეტერბურგში 1, კრასნოიარსკში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: კრასნოიარსკში 1, ვარშავაში 1, რიგაში 1, პეტერბურგში 2, იურიევში 2, უფაში 3, ლიბავაში 1, სევასტოპოლში 2 კაცი.

✦ **კალუგის ქალაქის თვითმართველობა.** „გოლ. მოსკ.“ სიტყვით კალუგის ქალაქის თვითმართველობის ყველა ხმოსნებს უარი განუცხადებიათ ხმოსნობაზე. მიზეზი—საგუბერნიო მართველობაა, რომელიც სისტემატიურად ხელს უშლიდა ქალაქის თვითმართველობას მუშაობას.

✦ **ლოპუხინის საქმე.** შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ სვიატოპოლკ-მირსკის უშუამდგომლია ლოპუხინს სასჯელი აპატიეთო, მაგრამ უარი მიუღია.

✦ **მოსკოვის სამხატვრო თეატრი.** ამ რამდენიმე ხნის წინად მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტები წარმოდგენების გასამართავად პეტერბურგში წავიდნენ. „რუსკ. სლ.“ სიტყვით, პეტერბურგში მათ 46 წარმოდგენა გაუმართნიათ და აუღიათ 163,961 მანეთი. მოსკოვის სამხატვრო თეატრს ამ წელიწადში სულ 400,000 მანეთი აუღია, აქედან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 110,000 მანეთი.

✦ **ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი.** როგორც ვიცით შეიმუშავეს ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი. „კასპი“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინმა არ მოიწონა ეს კანონ-პროექტიო.

✦ **სენატში.** 15 მაისს სენატი განიხილავს პურიშკევიჩის საკასაციო საჩივარს. როგორც ვიცით სასამართლომ ფილოსოფოვას და ქალთა კრების შეურაცხყოფისათვის პურიშკევიჩს ერთი თვე ციხე გადაუწყვიტა. პურიშკევიჩი თავის საკასაციო საჩივარში სწერს, რომ მე შეურაცყოფა არ მიმიყენებია, რაიც წერილიდან სჩანსო.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრების საქმე.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ყოფილმა მდივანმა პრუსაკოვმა და ყოფილმა წევრებმა ბარკოვმა და კამისაროვმა გამოაქვეყნეს, რომ დუბროვინს და მასთან „კავშირის“ მთავარ საბჭოს წევრებს მილიუკოვის და სტოლიპინის მოკვლა უნდოდათ და მათვე მოაკვლევინეს გერცენშტეინიო. გამომძიებელი უკვე შესდგომია საქმის გამოძიებას.

წერილი რედ. მიმართ

«დროების» მე-102 ნომერში დაიბეჭდა წერილი ქუთაისის ბანკის მმართველობაზე. როგორც წერილიდანა სჩანს, მის დამწერს უხელმძღვანელნია იმ მოხსენებით, რომელიც შეუდგენია სარევიზიო კომისიას შარშანდელ მაისის წლიურ კრების მინდობილობით. გარწმუნებთ, რომ ტყუილად აღელვებულხართ! მართალია, ეს მოხსენება ბრალმდებლო ოქმს უფრო წააგავს და თუ იმის შინაარსს დაუჯერებთ, ბანკის საქმეების მწარმოებელნი, ანძეხზედ ჩამოსაკიდნი ყოფილან. მართლაც, რომ კითხულობ ამ მოხსენებას, თმები ყალყზე გიდგება, ჰგმობ ჩვენს უქნარობას და საზოგადო საქმეს ფეხ ქვეშ გათელილად ჰგრძნობ. ჰფიქრობ: ნუ თუ ამოდენ ბარბაროსობასთან ბანკში მოსამსახურეებმა ერთი სასიკეთო ვეღარა შესძლეს-რაო. თორემ რასა ჰგავს სულ გაფლანგვა, უყურადღებობა და სხვა.

ცოტა დამშვიდდით, ბატონებო, ნამდვილად საქმე ისე არ გახლავთ, როგორც კომისია მოგითხრობთ: თუ სულ არა, რასაკვირველია, ნახევარი მოხსენებისა მაინც სიცრუეა. ამის თავმდები ბანკის ყოველ წლიური მოგებაა. გარდა ამისა, საყვედური ნაადრევია; ჯერ მოისმინეთ «ბრალდებულთა» თავის გასამართლებელი საბუთები და მაშინ მიუწყეთ შესაფერი მსჯავრი. კრება შორს არაა და მაშინ გამოჩნდება, რამდენად გულწრფელია და არა ცალმხრივი კომისიის მოქმედება და მისი მოხსენება.

მოვიყვან ერთს მაგალითს (დანარჩენი კრებისთვის შევინახოთ). ეს მაგალითიც ჯერ-ჯერობით საკმაოდ მიგვაჩნია კომისიის ოსტატობისა და სიცრუის დასასაბუთებლად. კომისია სწერს (იხ. მოხსენების მე-23 გვ.): «როგორც ქვევით, ბაბაევისეულ სახლზე (რემონტისთვის) სამი ხარჯთ-აღრიცხვა იყო შედგენილი. ორი მათგანი არქიტექტორ კლდიაშვილის მიერ, ერთი—ინჟენერ ქურდიანის მიერ (აქ კომისიას არა სცოდნია, თორემ ალბად სიამოვნებით ჩაბეჭდავდა, რომ ტეხნიკოსმა პროცკამაც შეადგინა ერთი ხარჯთ-აღრიცხვა). ყველა ეს ხარჯთ-აღრიცხვები თუმცა თოიძის ხარჯთ-აღრიცხვაზე ორჯერ ნაკლებ საფასურს ითხოვდნენ, მაგრამ მაინც რემონტი თოიძის ხარჯთ-აღრიცხვაზე მეტი დაჯდაო“. კომისიას ამით ამის დასაბუთება უნდოდა, როცა სთქვა კიდევ მოხსენებაში (იხილე გვ. 22): „ერთის სიტყვით, ბ-ნნი თოიძე და ერისთავი სრული «ბატონები» იყვნენ რემონტების საქმეში და დირექტორის მხრივ არავითარი კონტროლი არა ჰქონებიათო“.

ჩემის აზრით, კომისიის ასეთი გამოთქმა შეცდომა კი არა, უარესი რამეა, იგი სიცრუეა. ჰკითხეთ თვით ბ-ნ აბულაძეს (რომლის საბუთებს, როცა გნებავთ, წარმოვადგენ რედაქციაში), იურო ფაღავას დირექტორ ლორთქიფანიძეს და დარწმუნდებით, რომ უკონტროლოდ ჩხირიც არ ბრუნდებოდა, და განსაკუთრებით ბაბაევის სახლის რემონტზე მე და ბ-ნი აბულაძე ყოველ კვირა სამ საათამდე დავიარებოდით და ვწერდით, რაც კეთდებოდა კვირიდან კვირამდე. შეეკითხეთ მუშათა ბიუროებს, დურგლებისას, კალატოზებისას, მხატვრებისას და ისინი იტყვიან სწორს. ეს ხომ ასეა, მაგრამ კომისიამ, თუ ის ცალმხრივი არ არის, რად არ გამოიკვლია, რა იყო მიზეზი, რომ ერთსა და იმავე ბაბაევის სახლზე 5 ხარჯთ-აღრიცხვა შესდგა: არხიტექტორის, ინჟენერის და ტეხნიკოსებისა და ბოლოს თოიძის ხარჯთ-აღრიცხვით გაკეთდა საქმე? აი აქაა ძაღლის თავი დამარხული, რომელსაც კრებას მოვახსენებთ და რომელსაც კომისიამ გვერდი აუხვია, რასაკვირველია, განსაკუთრებულის „ნათლიმამურის“ აზრით.

ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—86)

სასწავლებელი და პანსიონი
გ. ლ. კუზანოვისა
მიდის საზაფხულოდ **სურამში.**

ამზადებს ბავშვებს. ამზადებს აგრეთვე მსურველთ განმეორებით („პერეეგზამენოვკები“) ეგზამენებისთვის ყველა საშუალო სასწავლებელში. აქვე ასწავლიან გერმანულ, ფრანგულ და ლათინურ ენებს.

ადრესი: კათოლიკეთა ქუჩა, № 16, და კუთხე აკიმოვის ქუჩისა, № 1, სახლი ბალდასაროვისა. (1—264—1)

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეშე აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისის.

ტფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).
ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).
ბორჯომამდე: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).
ჯულფამდე: საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),
ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.)
მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).
ბაქოდან: 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).
ბორჯომიდან: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).
ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).
ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).
მცხეთიდან: მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

შემთხვევით
იყიდება

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გროზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე“**-ში. (4—213—4)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—ნ.—56)

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდებათ წიგნის მაღაზიებს
ვასილ ყიფიანის
ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ფასი 40 კაპ.
ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

ამხ. „სორაპანის“ გამოცემა
ქართველი და უცხოელი მწერლები
„ახალი ჩანგი“
„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი საუკეთესო მწერლებისა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა-კითხვის საზოგადოებისა, „რეხის“ კიგნამისა სახაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიროჩნი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტთან.
ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს—შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.)** 25 კაპ. წიგნი კერძოდ გასასყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარკებითაც. გაგზავნიანა ეღირება 37 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.
დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.
(10—5.—9)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.